დანართი

დამტკიცებულია:

სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ლაკადა“

დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის

2019 წლის 14 მაისის № 04/39 ბრძანებით

# სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ლაკადა“

## მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული

## პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი

1. მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
5. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებით დადასტურება.
6. თუ მოდული, მოდულზე დაშვების წინაპირობაა, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაადასტუროს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები.
7. აღნიშნული მუხლის მე- 6 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სწავლის შედეგების არ/ვერ დადასტურება ითვლება სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და სტუდენტს აღარ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;

8. მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ 10 დღის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდულის დასრულება) მოდულის განმახორციელებელი, სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს დირექციას და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება, სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, განმეორებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.

9. შეზღუდული შესაძლებობისა და სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის /წინაპირობების დაძლევის გარეშე.

10. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს ასევე, შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი, პროფესიული სავალდებულო და პროგრამით გათვალისწინებული ყველა არჩევითი მოდულით გათვალისწინებული კრედიტები.

12. აღნიშნული მუხლის მე-10-ე პუნქტის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის შეფასების ჩატარებისთანავე , მასწავლებელი სტუდენტის პორტფოლიოს და შეფასების უწყისებს აბარებს სასწავლო პროცესის მენეჯერს.

13. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ სწავლის შედეგის დამადასტურებელი მტკიცებულებები გასაჩუქრდება ან განადგურდება კვალიფიკაციის მინიჭებიდან ერთი თვის ვადაში კურსდამთავრებულებზე ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების უწყისები კოლეჯში ინახება უვადოდ.

14. მოდულური პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების კომისია იქმნება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის საფუძველზე, კოლეჯის მიერ შესაბამისი მოდულური პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში.

15. კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ავტორიზებული სსიპ პროფესიული კოლეჯის „ლაკადა“ პროგრამატივას, შესაბამისი მოდულური პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების კომისიის დასკვნის საფუძველზე.